



იურიდიული დახმარების საბჭო

N- 93

„22“ „ივლისი“ 2021 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის შესახებ

„იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის **ზუგდიდის** იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და მესტიის მუნიციპალიტეტების ტერიტორია“.

2. ცვლილება შევიდეს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის იურიდიული დახმარების ბიუროების სამოქმედო ტერიტორიების განსაზღვრის თაობაზე იურიდიული დახმარების საბჭოს 2019 წლის 02 დეკემბრის N70 გადაწყვეტილებაში და მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის **ფოთის** იურიდიული დახმარების ბიუროს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვროს: ფოთის, სენაკის, აბაშას, ხობისა და მარტვილის მუნიციპალიტეტების ტერიტორია“.